

# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21  
2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. ზესტაფონი

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დანართი 1-ის მიხედვით.

### მუხლი 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილება (სსმ, 16/12/21; სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.127.016410).

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ვახტანგ ღამბაშიძე

დანართი №1

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი თავი I მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	31 123,0	8 978,8	22 144,2	33 346,0	8 428,0	24 918,0	27 888,1	0,0	27 888,1
გადასახადები	18 622,3	0,0	18 622,3	22 545,0	0,0	22 545,0	26 306,8	0,0	26 306,8



გრანტები	9 416,4	8 978,8	437,6	8 693,0	8 428,0	265,0	420,0	0,0	420,0
სხვა შემოსავლები	3 084,3	0,0	3 084,3	2 108,0	0,0	2 108,0	1 161,3	0,0	1 161,3
ხარჯები	15 815,5	877,6	14 937,9	18 855,2	943,2	17 912,0	19 209,8	0,0	19 209,8
შრომის ანაზღაურება	2 025,9	0,0	2 025,9	3 312,6	0,0	3 312,6	3 649,7	0,0	3 649,7
საქონელი და მომსახურება	1 679,9	797,7	882,3	3 101,1	862,6	2 238,5	1 411,6	0,0	1 411,6
პროცენტი	146,6	0,0	146,6	118,4	0,0	118,4	91,5	0,0	91,5
სუბსიდიები	6 593,7	0,0	6 593,7	8 568,0	0,0	8 568,0	10 722,1	0,0	10 722,1
გრანტები	16,3	0,0	16,3	20,0	0,0	20,0	108,2	0,0	108,2
სოციალური უზრუნველყოფა	3 315,5	0,0	3 315,5	1 854,0	0,0	1 854,0	2 170,9	0,0	2 170,9
სხვა ხარჯები	2 037,6	79,9	1 957,7	1 881,1	80,6	1 800,5	1 055,8	0,0	1 055,8
საოპერაციო საღდო	15 307,5	8 101,2	7 206,3	14 490,8	7 484,8	7 006,0	8 678,3	0,0	8 678,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 470,9	7 151,3	5 319,6	21 825,5	7 783,5	14 042,0	8 407,7	0,0	8 407,7
ზრდა	13 449,7	7 151,3	6 298,4	22 275,5	7 783,5	14 492,0	8 457,7	0,0	8 457,7
კლება	978,8	0,0	978,8	450,0	0,0	450,0	50,0	0,0	50,0
მთლიანი საღდო	2 836,6	950,0	1 886,7	-7 334,7	-298,7	-7 036,0	270,6	0,0	270,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 602,6	949,9	1 652,7	-7 586,1	-298,7	-7 287,4	0,0	0,0	0,0
ზრდა	2 602,6	949,9	1 652,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	2 602,6	949,9	1 652,7	0,0			0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	7 586,1	298,7	7 287,4	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			7 586,1	298,7	7 287,4	0,0	0,0	
ვალდებულებების ცვლილება	-234,0	0,0	-234,0	-251,4	0,0	-251,4	-270,6	0,0	-270,6
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	234,0	0,0	234,0	251,4	0,0	251,4	270,6	0,0	270,6
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	234,0	0,0	234,0	251,4	0,0	251,4	270,6	0,0	270,6



ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
---------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	32 101,8	8 978,8	23 123,0	33 796,0	8 428,0	25 368,0	27 938,1	0,0	27 938,1
შემოსავლები	31 123,0	8 978,8	22 144,2	33 346,0	8 428,0	24 918,0	27 888,1	0,0	27 888,1
არაფინანსური აქტივების კლება	978,8	0,0	978,8	450,0	0,0	450,0	50,0	0,0	50,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდებები	28 243,6	8 028,9	20 214,7	41 382,1	8 726,7	32 655,4	27 938,1	0,0	27 938,1
ხარჯები	13 832,9	877,6	12 955,3	18 855,2	943,2	17 912,0	19 209,8	0,0	19 209,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	14 176,7	7 151,3	7 025,4	22 275,5	7 783,5	14 492,0	8 457,7	0,0	8 457,7
ვალდებულებების კლება	234,0	0,0	234,0	251,4	0,0	251,4	270,6	0,0	270,6
ნაშთის ცვლილება	3858,2	949,9	2908,3	-7586,1	-298,7	-7287,4	0,0	0,0	0,0

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **27888,1** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	31 123,0	8 978,8	22 144,2	33 346,0	8 428,0	24 918,0	27 888,1	0,0	27 888,1



გადასახადები	18 622,3	0,0	18 622,3	22 545,0	0,0	22 545,0	26 306,8	0,0	26 306,8
გრანტები	9 416,4	8 978,8	437,6	8 693,0	8 428,0	265,0	420,0	0,0	420,0
სხვა შემოსავლები	3 084,3	0,0	3 084,3	2 108,0	0,0	2 108,0	1 161,3	0,0	1 161,3

მუხლი 4. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 26 306,8 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	18622,3	0,0	18 622,3	22545,0	0,0	22 545,0	26306,8	0,0	26 306,8
საშემოსავლო გადასახადი	0,0		0,0	0,0		0,0	0,0		0,0
ქონების გადასახადი	5 453,8	0,0	5 453,8	5 330,0	0,0	5 330,0	5 350,0	0,0	5 350,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 464,0		2 464,0	3 280,0		3 280,0	3 300,0		3 300,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 221,0		1 221,0	680,0		680,0	680,0		680,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	34,1	0,0	34,1	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0		0,0	13,0		13,0	13,0		13,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	34,1		34,1	2,0		2,0	2,0		2,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	120,1	0,0	120,1	80,0	0,0	80,0	80,0	0,0	80,0
ფიზიკურ პირებიდან	94,6		94,6	55,0		55,0	55,0		55,0
იურიდიულ პირებიდან	25,5		25,5	25,0		25,0	25,0		25,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 614,6	0,0	1 614,6	1 275,0	0,0	1 275,0	1 275,0	0,0	1 275,0
ფიზიკურ პირებიდან	157,2		157,2	75,0		75,0	75,0		75,0
იურიდიულ პირებიდან	1 457,4		1 457,4	1 200,0		1 200,0	1 200,0		1 200,0
გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე	13 168,5	0,0	13 168,5	17 215,0	0,0	17 215,0	20 956,8	0,0	20 956,8



დამატებითი ღირებულების გადასახადი	13 168,5	13 168,5	17 215,0	17 215,0	20 956,8	20 956,8
-----------------------------------	----------	----------	----------	----------	----------	----------

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 420.0 ათასი ლარის ოდენობით

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	9416,4	8 978,8	437,6	8693,0	8 428,0	265,0	420,0	0,0	420,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	197,6		197,6	0,0		0,0	0,0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9218,8	8 978,8	240,0	8 693,0	8 428,0	265,0	420,0	0,0	420,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2143,9	1 903,9	240,0	3 755,2	3 490,2	265,0	420,0	0,0	420,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	240,0		240,0	265,0		265,0	420,0		420,0
მიზნობრივი ტრანსფერი განკ. მოსწ ტრანსპორტირება	680,6	680,6	0,0	836,8	836,8		0,0	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი. განკ.სკოლების რეაბილიტაცია	599,7	599,7		100,0	100,0		0,0	0,0	0,0
გრანტი ცენტრ, სსიპ-დან	623,6	623,6		2 553,4	2 553,4	0,0	0,0	0,0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7074,9	7 074,9	0,0	4 937,8	4 937,8	0,0	0,0	0,0	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	6037,4	6 037,4		4 105,8	4 105,8		0,0	0,0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	832,0	832,0		832,0	832,0		0,0	0,0	0,0
საქ. მთ განკ.სტიქია	205,5	205,5	0,0	0,0	0,0		0,0	0,0	0,0

### მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1161.3 ათასი ლარის ოდენობით:



დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	3 084,3	0,0	3 084,3	2 108,0	0,0	2 108,0	1 161,3	0,0	1 161,3
შემოსავლები საკუთრებიდან	727,4	0,0	727,4	740,0	0,0	740,0	310,0	0,0	310,0
პროცენტები	540,4		540,4	500,0		500,0	150,0		150,0
რენტა	187,0	0,0	187,0	240,0	0,0	240,0	160,0	0,0	160,0
მოსაკრებელი ზუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	175,0		175,0	230,0		230,0	150,0		150,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	12,0		12,0	10,0		10,0	10,0		10,0
საქონლისა და მომსახურების რეალოზაცია	269,5	0,0	269,5	218,0	0,0	218,0	173,0	0,0	173,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	252,3	0,0	252,3	196,0	0,0	196,0	151,0	0,0	151,0
სანებართვო მოსაკრებელი	33,1		33,1	30,0		30,0	30,0		30,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0		0,0	1,0		1,0	1,0		1,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	219,2		219,2	165,0		165,0	120,0		120,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	17,2	0,0	17,2	22,0	0,0	22,0	22,0	0,0	22,0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	17,2		17,2	22,0		22,0	22,0		22,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 024,8		2 024,8	1 100,0		1 100,0	628,3		628,3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	62,6		62,6	50,0		50,0	50,0		50,0

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 19209.8 ათასი ლარის ოდენობით,



დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	15 815,5	877,6	14 937,9	18 855,2	943,2	17 912,0	19 209,8	0,0	19 209,8
შრომის ანაზღაურება	2 025,9	0,0	2 025,9	3 312,6	0,0	3 312,6	3 649,7	0,0	3 649,7
საქონელი და მომსახურება	1 679,9	797,7	882,3	3 101,1	862,6	2 238,5	1 411,6	0,0	1 411,6
პროცენტი	146,6	0,0	146,6	118,4	0,0	118,4	91,5	0,0	91,5
სუბსიდიები	6 593,7	0,0	6 593,7	8 568,0	0,0	8 568,0	10 722,1	0,0	10 722,1
გრანტები	16,3	0,0	16,3	20,0	0,0	20,0	108,2	0,0	108,2
სოციალური უზრუნველყოფა	3 315,5	0,0	3 315,5	1 854,0	0,0	1 854,0	2 170,9	0,0	2 170,9
სხვა ხარჯები	2 037,6	79,9	1 957,7	1 881,1	80,6	1 800,5	1 055,8	0,0	1 055,8

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8407,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8457,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	283,3	171,0	215,5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12302,4	17301,4	8187,2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	19,3	173,1	0
04 00	განათლება	154,8	549,5	25,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	686,0	4079,8	30,0
06 00	სოციალური უზრუნველყოფა	3,8	0,7	0
	<b>სულ</b>	<b>13449,7</b>	<b>22275,5</b>	<b>8457,7</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	978.8	450	50
ძირითადი აქტივები	80.5	400	0.0
ფასეულობები	120.3	0.0	0,0
არაწარმოებული აქტივები	778.0	50.0	50.0
მიწა	654.4	0	0
სხვა ბუნებრივი აქტივები	123.6	50,0	50,0

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 132,8	0,0	3 132,8	5 012,7	0,0	5 012,7	5 493,9	0,0	5 493,9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 873,6	0,0	2 873,6	4 972,1	0,0	4 972,1	5 493,9	0,0	5 493,9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 873,6	0,0	2 873,6	4 822,1	0,0	4 822,1	5 343,9	0,0	5 343,9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	150,0	0,0	150,0	150,0	0,0	150,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	11 715,5	7 182,3	4 533,2	17 798,0	5 794,1	12 003,9	8 448,7	0,0	8 448,7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	773,7	771,4	2,3	1 040,3	956,6	83,7	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	773,7	771,4	2,3	1 040,3	956,6	83,7	0,0	0,0	0,0
70422	სატყეო მეურნეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



7043	სათბობი და ენერგეტიკა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	10 785,6	6 410,9	4 374,7	16 516,8	4 825,9	11 690,9	8 148,7	0,0	8 148,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	10 785,6	6 410,9	4 374,7	16 516,8	4 825,9	11 690,9	8 148,7	0,0	8 148,7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	156,2	0,0	156,2	240,9	11,6	229,3	300,0	0,0	300,0
705	გარემოს დაცვა	2 275,8	0,0	2 275,8	1 920,8	0,0	1 920,8	2 067,7	0,0	2 067,7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2 275,8	0,0	2 275,8	1 920,8	0,0	1 920,8	2 067,7	0,0	2 067,7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 561,1	0,0	1 561,1	2 301,6	0,0	2 301,6	882,7	0,0	882,7
7061	ბინათმშენებლობა	423,1	0,0	423,1	815,7	0,0	815,7	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	1 067,2	0,0	1 067,2	294,7	0,0	294,7	0,0	0,0	0,0
7064	გარე განათება	70,8	0,0	70,8	1 191,2	0,0	1 191,2	882,7	0,0	882,7
707	ჯანმრთელობის დაცვა	160,0	0,0	160,0	223,0	0,2	222,8	209,4	0,0	209,4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	160,0	0,0	160,0	223,0	0,2	222,8	209,4	0,0	209,4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 256,1	0,0	3 256,1	6 580,6	1 979,8	4 600,8	3 239,8	0,0	3 239,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 423,8	0,0	1 423,8	1 727,4	0,0	1 727,4	1 198,8	0,0	1 198,8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 663,0	0,0	1 663,0	4 655,2	1 979,8	2 675,4	1 765,2	0,0	1 765,2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	165,0	0,0	165,0	165,0	0,0	165,0	245,0	0,0	245,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	4,3	0,0	4,3	33,0	0,0	33,0	30,8	0,0	30,8
709	განათლება	3 882,7	846,5	3 036,2	5 105,3	952,6	4 152,7	4 852,0	0,0	4 852,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	3 004,9	0,0	3 004,9	4 112,7	0,0	4 112,7	4 766,0	0,0	4 766,0
7092	ზოგადი განათლება	877,8	846,5	31,3	992,6	952,6	40,0	86,0	0,0	86,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	877,8	846,5	31,3	992,6	952,6	40,0	86,0	0,0	86,0
710	სოციალური დაცვა	2 259,7	0,0	2 259,7	2 440,1	0,0	2 440,1	2 743,9	0,0	2 743,9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე	168,1	0,0	168,1	195,4	0,0	195,4	198,4	0,0	198,4



	პირთა სოციალური დაცვა									
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	86,7	0,0	86,7	105,0	0,0	105,0	150,0	0,0	150,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	891,0	0,0	891,0	946,0	0,0	946,0	1 033,5	0,0	1 033,5
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	501,9	0,0	501,9	490,0	0,0	490,0	450,0	0,0	450,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	119,6	0,0	119,6	168,5	0,0	168,5	188,0	0,0	188,0
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	366,5	0,0	366,5	390,0	0,0	390,0	420,0	0,0	420,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	125,9	0,0	125,9	145,2	0,0	145,2	304,0	0,0	304,0
	სულ	28 243,7	8 028,9	20 214,8	41382,1	8 726,7	32 655,4	27938,1	0,0	27 938,1

### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 8678,3 ათასი ლარი, მთლიანი სალდო 270.6 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	15307,5	14490.8	8678,3
მთლიანი სალდო	4092.2	-7334.7	270.6

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ზრდა	2602,6	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	2602,6	0,0	0,0



3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების კლება	0	7586.1	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0	7586.1	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულების ცვლილება - 270.6 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულების კლება 270.6 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
ვალდებულების ცვლილება	-234.0	-251.4	-270.6
ზრდა	0	0	0
კლება	234.0	251.4	270.6

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან 2022-2023 წლებში გადასახდელი ძირითადი ვალდებულება შეადგენს შემდეგს:

1. 2022 წლის ბოლოსათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ მეორე სვირისა და „სადგურ სვირის“ დამაკავშირებელ გზაზე გადასახდელი ძირითადი თანხა შეადგენს 166100 ლარი. 2023 წლის განმავლობაში გადასახდელია 185300 ლარი.

2. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის (სამი ცალი კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანა და 130 ცალი ნარჩენების კონტეინერი) ხელშეკრულების ფარგლებში სესხის ძირითადი თანხა 2022 წელში შეადგენს 85300 ლარს, ხოლო 2023 წელში გადასახდელია 85300 ლარი.

## თავი II

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

## მუხლი 13



## 1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება, მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

### 1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

**აღწერა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. საჭიროა ცენტრალურ და მეორე ხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციო სასაღებავი არხები.

**მიზანი:** მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა

#### 1.1.1 გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

**აღწერა:** ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს, რეაბილიტაციას ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. საჭიროა ცენტრალურ და მეორე ხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციო სასაღებავი არხები.

**მიზანი:** გზის, ქუჩის, სასაღებავი არხების, საყრდენი კედლების, ბოგირების, ხიდების, არასაცხოვრებელი და სხვა შენობების რეაბილიტაცია, გზების ორმული დამუშავება.

#### 1.1.2 გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

**აღწერა:** გზების კაპიტალური შეკეთების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალურ შეკეთება, ახალი გზების მშენებლობა. მიმდინარე პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსებას.

**მიზანი:** გზების კაპიტალური შეკეთება მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა;

#### 1.1.3 საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის კამერების მოვლა-შენახვა



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 10 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერის შსს 112-ის ერთიან ქსელთან დაერთების და ყოველთვიური მომსახურება

**მიზანი:** უსაფრთხოების დონის ამაღლება, საგზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირება და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება. დანაშაულის აღმოფხვრა.

## 1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია.

### 1.2.1 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 02)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათსაკუთრებათა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ საერთო სარგებლობის ქონების დამოუკიდებლად მოვლა-პატრონობას და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერს და მაღალსართულებზე განთავსებულ ბინებს. აქედან გამომდინარე ქ ზესტაფონის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადები, სადარბაზოები, სარდაფები, სახურავები და შიდა კომუნიკაციები რეაბილიტაციას საჭიროებს.

**მიზანი:** კორპუსების შიდა ეზოების მოწყობა, სახურავების შეკეთება, განახლება, ფასადების შეღებვა, ლიფტების მოწესრიგება. საცხოვრებელი სახლების გადახურვა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება.

### 1.2.2 წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 02 02 03)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: -სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მოწყობა-მომსახურება. მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.

სასმელ იწყის ჭის მოწყობა, ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალურ ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. განხორციელდება

**მიზანი:** წყლის სისტემის აღდგენა შეკეთება, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.

### 1.2.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)

**აღწერა:** დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარეგანათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება.

**მიზანი:** გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი. განათებული ტერიტორიის ფართობის ზრდა. უსაფრთხო გარემოს შექმნა

### 1.2.4 გარე განათების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 02 05)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტში, დამის პერიოდში, უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში



სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ზესტაფონში და 13 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 472,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება გახარჯული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.

პროგრამა შედგება პროგრამისაგან:

- გარე განათების მოვლა-პატრონობა;

გარე განათების პროგრამა შინაარსის, ტიპის მიხედვით არის მომსახურების ხასიათის. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში არის მუდმივმოქმედი.

2023 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარეგანათების ქსელის ექსპლოატაციის პროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან. გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;
- ამორტიზებული დადაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.

ის ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.

გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარეგანათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.

**მიზანი:** პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარეგანათებით..

### 1.3 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 02 03)

**აღწერა:** სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდება მოსახლეობის მიერ კრებებზე გამოთქმული სხვადასხვა სახის პროექტების ღონისძიებები.

**მიზანი:** მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის

საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

#### 1.3.1 სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 01)

**აღწერა:** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა, და ა.შ გაწმენდებით, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები; გზისპირა მოსაცდელეები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელები. გარე განათება; სკოლების მიმდინარე ტერიტორიების კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; მინი ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

**მიზანი:** გზების კაპიტალური შეკეთება მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.



### 1.3.2 საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 04)

სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა რაც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების საბოლოო სახეს.

#### მუხლი 14.

##### 1. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

##### 1. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

**აღწერა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.

დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითდად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.

**მიზანი:** ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის

##### 1.1.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

**აღწერა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.

დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითდად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპკეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 5 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ზედა საქარა, ქვედა საქარა, ქვედა საზანო, სასახლე, დილიკაური, რკვია, ბოსლევო, პირველი სვირი (ნაწილობრივ), მეორე სვირი (ნაწილობრივ), არგვეთა,



შრომა, სადგურ სვირი, როდინაული, ცხენთარო, აჯამეთი, ფუთი, ძირულა, ზოვრეთი, თვრინი, წითელი მიწა, საღვინე, კვალითი, ცხრაწყარო, კლდეეთი, ტაბაკინი, ალავერდი, შრომა, დაბა შორაპანი. ზარის მეთოდის გამოყენებით ვემსახურებით ნაწილობრივ სოფლების და ქალაქის კერძო დასახლებულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის საშუალებით. შეგროვებული ნარჩენები გადის თერჯოლის ნაგავსაყრელზე.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 150მ<sup>3</sup>/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 5 ნაგავმზიდი ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ნაგავსაყრელზე დამატებით გადის 15-20 მ<sup>3</sup>/კუბ ნარჩენი.

**მიზანი:** მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ზესტაფონის დასუფთავება დაქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები

### 1.1.2 კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 01 03)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა დასაჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 13 სამტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასების დაფინანსება.

**მიზანი:** ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.

### 1.1.3 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 04)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მაწანწალა ძაღლების აყვანა, დაჭერა და იზოლაცია. (დაჭერა უნდა განხორციელდეს თანამედროვე ძაღლსაჭერით და უმტკივნეულოდ, სათანადო ხელსაწყოებით, სპეციალური აღჭურვილობითა და ეკიპირებით. გადაყვანა უნდა მოხდეს სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი ავტომობილით დროებით თავშესაფარში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების გატარების შემდგომ / ჯანმრთელი ძაღლებისათვის კასტრაცია/ სტერილიზაციის ჩატარება, რათა არ მოხდეს მათი გამრავლება/ , ჯანმრთელი ძაღლების დანომვრა და მოსახლეობის მოთხოვნის, ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველების დაბრუნება ბუნებრივ არეალში, ან პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე.

**მიზანი:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა უსაფრთხო გადაადგილება

### 1.2 მყარი ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი 03 02)

**აღწერა:** არასახიფათო სანიტარული ნარჩენების სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა განსაზღვრულ ადგილებში. მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით ნაგავმზიდების შექმნა. კერძოდ: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან 2022-2023 წლებში გადასახდელი ძირითადი ვალდებულება შეადგენს შემდეგს:

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის (სამი ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 130 ცალი ნარჩენების კონტეინერი) ხელშეკრულების ფარგლებში სესხის ძირითადი თანხა 2022 წელში შეადგენს 85300 ლარს, ხოლო 2023 წელში გადასახდელია 85300 ლარი.

**მიზანი:** ყოველწლიური გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელება . გაუმჯობესებული უსაფრთხოება და საქმიანობის განხორციელება უსაფრთხოების მართვის მთლიანი სისტემის



**მუხლი 15.**

**1. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა, სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

**1.1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელიაღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)**

**აღწერა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ბაღების გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 41 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1696-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 154 აღმზრდელი და 372 შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი.„სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“პროგრამის მიზანია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის#487დადგენილებითდამტკიცებულიტექნიკურირეგლამენტისდადგენილნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

**მიზანია:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1696-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 54%-ს შეადგენს.

**1.2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)**



**აღწერა:** პროგრამა მოიცავს: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვას-ქ.ზესტაფონში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება -საპროექტო-სახარჯთაარრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება.

**მიზანია:** პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ბავშვებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა.

### 1.3 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

**აღწერა:** პროგრამა მოიცავს: ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა ფასიანი საჩუქრებით წახალისებას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.

**მიზანია:** პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება. წარმატებული მოსწავლეების და სტუდენტების წახალისება და მოტივაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების თანადაფინანსება. განათლების ხელშეწყობა და მისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის. ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების წარმოჩინება და საზოგადოებაში ინტეგრირება

### 03.04 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

**აღწერა:** პროგრამა მოიცავს: საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ტრანსპორტირება გულისხმობს, ისეთი სოფლებიდან სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების წაყვანას ახლომდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

**მიზანი:** პროგრამის განხორციელების შედეგია სკოლის მოსწავლეებისათვის საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

### 03.05 ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 05)

**აღწერა:** პროგრამა მოიცავს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვას პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

**მიზანი:** პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ბავშვებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა.

## მუხლი 16

### 1. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ



გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

### 1.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია, ზესტაფონის ნაკრებისა და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში. სპორტსკოლის, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომი რეაბილიტაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის.

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.

#### 1.1.1 მომსახურება დასვენება სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 01 01)

**აღწერა:** ქვე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება;

**მიზანი:** პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

#### 1.1.2 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

**აღწერა:** სპორტულ სკოლას აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ქართული ჭიდაობა (34 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (48 ბავშვი); რაგბი (85 ბავშვი); კარატე (12 ბავშვი); ჭადრაკი (42 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო (42 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო გოგონები 14 ბავშვი); ჭიდაობა სამბო (53 ბავშვი); კიკბოქსინგი ( 42 ბავშვი); კრივი (39 ბავშვი); ველოსპორტი(8 ბავშვი); ფარიკაობა (36 ბავშვი); სულ სპორტულ სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება 480 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ სკოლაში დასაქმებულია ჯამში 37 ადამიანი, მათ შორის, 13 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 24 მწვრთნელი. სპორტული სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

**მიზანი:** ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით. მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში. სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

#### 1.1.3 ა(ა) იპ ზესტაფონის მ.სალაძის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი



**აღწერა:** სპორტული ცენტრი აერთიანებს 9 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ფეხბურთი 6 ჯგუფი (115 ბავშვი); ქართული ჭიდაობა 1 (15 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (20 ბავშვი); კარატე 1 ჯგუფი (25 ბავშვი); კალათბურთი ვაჟების 2 ჯგუფი (50 ბავშვი) და გოგონათა კალათბურთი 1 ჯგუფი (20 ბავშვი) ჭიდაობა ძიუდო 3 ჯგუფი (60), ხელბურთი (15 ბავშვი). სამბო 2 ჯგუფი (30 ბავშვი) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 360 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 38 ადამიანი, მათ შორის, 19 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. სარგებლობა;

**მიზანი:** ქვე პროგრამის მიზანია:

- 1. ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- 2. მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ უჩისათვის;
- 3. მუნიციპალიტეტის სპორტული სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

### 1.1.5 დასვენებისა და სპორტის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 05)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელება: სტადიონებისა და სკვერების რეაბილიტაცია, მინი მოედნების რეაბილიტაცია მსენებლობა, მინი სტადიონის მოწყობა, სპორტული ტრენაჟორების მოწყობა. ფეხბურთის მოედნის მშენებლობა, რეაბილიტაცია.

**მიზანი:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა.

### 1.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული პროექტების განხორციელების მიზანია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ღვაწმოსილი ადამიანების სათანადო დაფასება, დამომბილებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება და გაცვლითი ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა. ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით, მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნა, რაც დღესასწაულების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებითაა შესაძლებელი.

სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულებების განვითარება როგორცაა თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციების დაცვა, ხელოვნების წარმომადგენელთა წახალისება-წარმოჩენა სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით.

ფესტივლების, კონკურსების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა-ხელშეწყობა.

ქორეოგრაფიისა და ქართული ფოლკლორის განვითარების მიზნით მასტერკლასების ჩატარება მოწვეული მაღალი პროფესიული ოსტატობის მქონე სპეციალისტების მიერ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სხვადასხვა დარგის ხანდაზმული ადამიანების პატივისცემის ნიშნად შეხვედრების მოწყობა. მათ შორის საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება.

მნიშვნელოვანი, ისტორიული თარიღების აღსანიშნავი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

სხვადასხვა შემოთავაზებულ პროექტებში თანამონაწილეობა („ცოცხალი წიგნები“, „ქუთაისქალაქობა“).



მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში სხვადასხვა თაობის ჩართვა. სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

### 1.2.1 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

**აღწერა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი, მათ შორის 4 ტექნიკური პერსონალი და 6 პედაგოგი, მოსწავლეთა კონტიგენტი განისაზღვრება 78 მოსწავლით, სკოლაში ისწავლება სხვა და სხვა დისციპლინები, ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, გობელინი

**მიზანი:** სამხატვრო განათლების მისაღებად შესაბამისი გარემოს შექმნა

დაწყებითი სამხატვრო განათლების მიცემა ბავშვებისთვის

### 1.2.2 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 02)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში (1 ცენტრალური, 1 საბავშვო 1 საქალაო, 2 წიგნსაცავი და 13 სასოფლო ბიბლიოთეკა) წიგნის ფონდი შეადგენს 172267 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2172 მოსახლე. წიგნთა ფონდის დაფინანსება 5,0 ათასილარი.

ცენტრალური ბიბლიოთეკა მასში შემავალი სოფლის განყოფილებებით წარმოადგენს საინტერესო და მიმზიდველ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისას, აქ იკრიბებიან ყველა თაობის ადამიანები, იღებენ განათლებასა და ახალ ინფორმაციებს. აქ ხდება შეხვედრები სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, რაიონის ხელმძღვანელობასთან. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს ახალგაზრდობის სწორად ინფორმირებას. ახორციელებს ბავშვებსა და ახალგაზრდობაზე ორიენტირებულ პროგრამებს.

**მიზანი:** მკითხველთა რაოდენობის გაზრდა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა.

### 1.2.3 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

**აღწერა:** კულტურისა და შემოქმედების ცენტრი აერთიანებს, შემდეგ შემოქმედებით კოლექტივებს: სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ზესტაფონი“ (43 კაცი), ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჯავარდენი“ ლოტბარი, ქორეოგრაფი და ორი აკომპანიმატორი(80 ბავშვი); ხალხური საკრავების სტუდია (20 ბავშვი), საბავშვო თეატრ-სტუდია „იმერეთის მარგალიტები“, რეჟისორი, სცენარისტი, მხატვარ-დეკორატორი, სცენის მემანქანე, თოჯინების თეატრი-რეჟისორი, მხატვარი, ხმის ოპერატორი და 4 მსახიობი, მომღერალ ქალთა ანსამბლი-ლოტბარი და ანსამბლის წევრები 11, ცენტრის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს შეადგენს 19 კაცი. წლის განმავლობაში შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ.

**მიზანი:** კლასიკური და ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაცია

2) ანსამბლებსა და თვითშემოქმედებით კოლექტივებში ბავშვთა და მოზარდთა მოზიდვა

3) შემოქმედებითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში

4) კულტურული მემკვიდრეობის, ფოლკლორის, კლასიკური მუსიკის ქალაქური და ლირიული სიმღერის შენარჩუნება და განვითარება

### 1.2.4 ა(ა)იპი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)

**აღწერა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუზეუმების გაერთიანების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მუზეუმების გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მუზეუმების გაერთიანებაში



შემავალი ორი მუზეუმი: გენიალური ქართველი მსახიობის უმანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი და გივი ჯაომვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმების გაერთიანებაში დასაქმებულია ჯამში 12 ადამიანი. მუზეუმების გაერთიანების ფუნქციონირების მიზანია: მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია ფართო მასებში. მუზეუმების ძირითადი დანიშნულებაა მოსახლეობის დაინტერესება სამუზეუმო ცხოვრებით, კერძოდ: სამუზეუმო ექსპონატების დაცვა-პოპულარიზაციით, საგანმანათლებლო პროექტებით, კონკურსებით, ლექცია-სემინარებით, გამოფენებით, შემოქმედებითი საღამოებით. ჩამოთვლილი ღონისძიებები ემსახურებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებას. მუზეუმების გაერთიანების პერსონალი ვალდებულია ვიზიტორებს მოემსახუროს და შეუქმნან მათ სასიამოვნო და საინტერესო გარემო. გაერთიანებაში საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება, მოვლა-შენახვა და მუზეუმების პერსონალისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა. ინფრასტრუქტურულად გამართული გარემო არის საუკეთესო საშუალება ვიზიტორების მოსაზიდად.

**მიზანი:** მუზეუმების გაერთიანების ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია ფართო მასებში. მუზეუმების ძირითადი დანიშნულებაა მოსახლეობის დაინტერესება სამუზეუმო ცხოვრებით. მუნიციპალიტეტის წარსულის გაცნობით. საგანმანათლებლო პროექტებით, კონკურსებით, ლექცია-სემინარებით, გამოფენებით, შემოქმედებითი საღამოებით, ჩამოთვლილი ღონისძიებებით გაერთიანება ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებას. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართულნი არიან საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები, მუნიციპალიტეტის ღირსეული და გამოჩენილი პიროვნებები, ჩვენი მუზეუმების კარი ღიაა ყველა დაინტერესებულ პირისათვის როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტებისათვის.

### 1.2.5 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლალიძის სახ. სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 05)

**აღწერა:** სამუსიკო სკოლაში სწავლა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური ღონის ამალვებას და სხვადასხვა ღონისძიებებში წარმატებულ მონაწილეობას.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლალიძის სახ. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 237 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია 49 თანამშრომელი. სკოლა ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე სკოლას აქვს საკუთარი შემოსავლები, რითაც ფინანსდება სკოლის კომუნალური ხარჯები.

**მიზანი:** სამუსიკო სკოლის სრულფაოვანი სპეციფიური გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება ნორმები ა(ა)იპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება რ. ლალიძის სახ. სამუსიკო სკოლა, კერძო სამართლის ააიპ, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. რაც ემსახურება მოსწავლეთა ესთეტიურ აღზდას, სწავლების დაწყებით და საბაზო - საორიენტაციო საფეხურებზე. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ღია კონცერტებს და სხვადასხვა ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე მიღწეულ წარმატებებს, რაც მოტივაციას უქმნის როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგებს, შედეგზე ორიენტირებული შრომისათვის.

### 1.2.6 ა(ა)იპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 06)

**აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა, ფუნქციონირებს ორ საფეხურიანი სწავლება ექვსწლედ და ცხრაწლედ. ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, საორკესტრო განყოფილება, კლასიკური ვოკალი, საესტრადო სიმღერები, კლასიკური გიტარა და ხალხური საკრავები.

ზესტაფონის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში განათლებას იღებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 187 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია 50 თანამშრომელი, აქედან 32 პედაგოგი დს 9 ადმინისტრაციული თანამშრომელი. სკოლა ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე სკოლას აქვს საკუთარი შემოსავლები, რითაც



ფინანსდება ადმინისტრაციის ხელფასები და გამოიყენება სკოლის კომუნალური ხარჯებისათვის.

**მიზანი:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექნა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში ისე ქვეყნის გარეთ, ზესტაფონის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად, სრულად არის დაკმაყოფილებული განათლების მიღება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.

### 1.2.7 ძეგლთა დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 07)

**აღწერა:** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა და მოვლა პატრონობა. ძეგლების საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისათვის რეკომენდაციების მომზადება. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი და უძრავი ძეგლებისთვის შესაბამისი სტატუსების მინიჭების თაობაზე სპეციალისტებთან ერთად რეკომენდაციების მომზადება. ბუკლეტების, რუკებისა და სხვა სარეკლამო საშუალებების მომზადება.

**მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მომავალი თაობებისათვის მისი შენარჩუნება. პოპულარიზაცია. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

### 1.2.8 იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯი (პროგრამული კოდი 05 02 08)

**აღწერა:** ფესტივლებისა და სიუბილეო ღონისძიებების ორგანიზებაში საზოგადოების აქტიური ჩართულობა, სახალხო ზეიმების მოწყობა ადგილობრივი რესურსების ხელშეწყობით, ახალი სახეების მოძიება და საზოგადოებაში ინტეგრაციის, კულტურის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**მიზანი:** ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნების დახვეწა განვითარება. თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდ შემსრულებელთა გამოვლენა წახალისება. საუკეთესო ტრადიციების გაგრძელება.

### 1.2.9 კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 09)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში შემდეგი პროექტების განხორციელება: კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია.

**მიზანი:** სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

### 1.2.10 კულტურის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 10)

**აღწერა:** კულტურის სოციალიზაცია და ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ფენისათვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სხვადასხვა სფეროებისა და ობიექტების წარმოჩენა და ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტში მცხოვრები კულტურის სფეროში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანების პატივგება.

**მიზანი:**

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფის პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება. პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, რის შედეგადაც გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე



### 1.3 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში შემდეგი პროექტების განხორციელება:

- კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.
  - სხვადასხვა ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება.
  - სადღესასწაულო დღეების აღსანიშნავი ღონისძიებების მოწყობა.
  - ახალგაზრდების მონაწილეობით საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა.
  - პროექტებში: „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ და „სპორტი ბარიერების გარეშე“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ორგანიზების ხელშეწყობა.
  - გასვლით-შემეცნებითი ღონისძიებების „გაიცანი საქართველო“-ს ორგანიზება.
  - შშმ ბავშვების ჩართულობით ღონისძიებების გამართვა.
  - ახალგაზრდული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.
  - 100% -იანი გრანტის მქონე ახალგაზრდების დაჯილდოება.
  - წლის წარმატებული ახალგაზრდა პედაგოგის წახალისება.
- ოქროს მედალოსანი სკოლის მოსწავლეების წახალისება, რომლებიც არიან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული.

პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ღონისძიებები (ბანაკები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა).

**მიზანი:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის მხარდაჭერა. თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, სოციალურად აქტიური ახალგაზრდების გამოვლენა და მათი აქტივობის ზრდის ხელშეწყობა.

ახალგაზრდულთან არსებული ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფის „ახალგაზრდული საბჭო“-ს ხელშეწყობა.

შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა.

ახალგაზრდებში თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენება. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მოტივირება.

### 1.4 ეპარქიის ხარჯები - 165.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

**აღწერა:** ხარჯები გათვლილია მარგვეთისა უბისის ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების ხელშეწყობისათვის, კერძოდ : ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოს კეთილმოწყობისა და მოვლა პატრონობისატვის, ეპარქიის დაქვემდებარებაში მყოფი ორი საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის საკვების შესამდენად, ეპარქიის ტაძრების ინვენტარის შეძენა განახლებისათვის, ქ. ზესტაფონში წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის ეზოში მარგვეთისა და უბისის ეპარქიის კუთვნილი ორსართულიანი ნაგებობის,(საპატრიარქოს რეზიდენცია) სარემონტო სამუშაოებისათვის.

**მიზანი:** რელიგიური ორგანიზაციების სუფსიდირება ეპარქიის სუბსიდირების ხელშეწყობის მიზნით.

### 1.5 აიპ საკალათბურთო კლუბი „მარგვეთი“ (პროგრამული კოდი 05 05)

**აღწერა:** კალათბურთის გუნდის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქვეყნის ჩემპიონატისა და სხვადასხვა სახელობის ტურნირებზე მონაწილეობის მიღება, ახალგაზრდული გუნდის ხელშეწყობა

**მიზანი:** ა იპ საკალათბურთო კლუბი „მარგვეთის“ გუნდის ხელშეწყობა



# 1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

## 1.1 მოსახლეობის ჯანდაცვა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ა(ა)იპ „ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მისიაა მუნიციპალიტეტში: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, რისთვისაც მუნიციპალიტეტში მუშაობს როგორც მუნიციპალური, ასევე სახელმწიფო პროგრამები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ა(ა)იპ „ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის შესწავლა/დადგენა.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები.

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა.

დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა.

სანიტარული ღონისძიებები.

ეპიდზედამხედველობის სისტემაში პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, დაგეგმვა და მართვა მიმართულია დაავადებათა შემთხვევების რაოდენობისა და სიხშირის შემცირებისაკენ.

დაავადებათა ერთეული და ჯგუფური შემთხვევების დაფიქსირება/პრევენციული ღონისძიებები, დაავადებათა სეზონურობიდან და ციკლურობიდან გამომდინარე, დაავადებათა შემთხვევებზე აქტიური ან პასიური ზედამხედველობის დამყარება, შედეგების დაგროვება, დამუშავება როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად, დაავადებათა სტატისტიკური მაჩვენებლების (მაგ: შობადობა, ავადობა, სიკვდილიანობა) გამოთვლა არის პრიორიტეტული.

## 1.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურიდახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური პროგრამები მოიცავს: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები /რეგისტრირებული/ (მათშორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული დევნილი) მოქალაქეებისათვის დახმარების ღონისძიებებს: ოჯახების განვითარების, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის და



პრევენციული ღონისძიებების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრების და მსგავსი გაერთიანებების მიმართ დახმარების ღონისძიებებს, სადაც მიმდინარეობს, მხოლოდ სოციალური ხასიათის მხარდამჭერი ღონისძიებები და მასში გაერთიანებულია გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირთა ჯგუფი (სოციალური ჯგუფი).

### 1.2.1 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)

1) ლეიკემიით, ჰემოფილით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 600 ლარით .

2) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი განესაზღვროთ დახმარება 500 ლარის ოდენობით.

3) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი გარდა იმ პირებისა რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი, განესაზღვროთ დახმარება თითოეულს -200 ლარის ოდენობით. შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები რომელთა დიაგნოზია ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა დახმარება ერთჯერადად 1 200 ლარი.

4) მარტოხელა ოჯახები (დედა, მამა) რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები დახმარება განისაზღვროს 200 ლარით.

5) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) დახმარება განისაზღვროს 500 ლარით .

6) ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა. დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 200 ლარი.

7) რადიოაქტიური იოდით მკურნალობა -500 ლარი.

8) ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება - 500 ლარი. წლის განმავლობაში ქიმიო და სხივური თერაპიით, მედიკამენტებით მკურნალობისათვის დამატებით 200 ლარი.

9) ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დახმარება- 300 ლარი..

10) „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება“. ოჯახი/პირი დახმარება განისაზღვროს 100-დან არაუმეტეს 500 ლარი, წლიური ბიუჯეტი 140. 000 (ასი ათასი) ლარი.

11) ქვეპროგრამა: „გადაუდებელი საჭიროების " პროგრამა. წლიური ბიუჯეტი 10 000 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ მხარდაჭერას.

დახმარება ერთ ოჯახზე არაუმეტეს 1000 ლარისა.

ქვეპროგრამა: დახმარება გენდერული ბიუჯეტირების ფარგლებში. ბიუჯეტი 10000 ლარი.

12) ქვეპროგრამა: „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშეშე მერქნით დახმარება“ - ბიუჯეტი 90 000 ლარი.

13) ქვეპროგრამა: ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება 60 60+ ბიუჯეტი- 10 000 ლარი ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება (ინიცირებას უწევს ა.ა.ი.პ „სოციალური კეთილდღეობის ლიგა“) ძირითადი სამიზნე ჯგუფები პირდაპირი ქალები 60+,



მამაკაცები 65+ (15 ოჯახზე).

14) ქვეპროგრამა : საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების დახმარება. ბიუჯეტი 15 000 ლარი (დელეგირებული )

1) ლეიკემიით, ჰემოფილით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 600 ლარით .

2) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი განესაზღვროთ დახმარება 500 ლარის ოდენობით.

3) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი გარდა იმ პირებისა რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი, განესაზღვროთ დახმარება თითოეულს -200 ლარის ოდენობით. შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები რომელთა დიაგნოზია ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა დახმარება ერთჯერადად 1 200 ლარი.

4) მარტოხელა ოჯახები (დედა, მამა) რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები დახმარება განისაზღვროს 200 ლარით.

5) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) დახმარება განისაზღვროს 500 ლარით .

6) ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა. დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 200 ლარი.

7) რადიოაქტიური იოდით მკურნალობა -500 ლარი.

8) ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება - 500 ლარი. წლის განმავლობაში ქიმიო და სხივური თერაპიით, მედიკამენტებით მკურნალობისათვის დამატებით 200 ლარი.

9) ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დახმარება- 300 ლარი..

10) „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება“. ოჯახი/პირი დახმარება განისაზღვროს 100-დან არაუმეტეს 500 ლარი, წლიური ბიუჯეტი 140. 000 (ასი ათასი ) ლარი.

11) ქვეპროგრამა: „გადაუდებელი საჭიროების " პროგრამა. წლიური ბიუჯეტი 10 000 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ მხარდაჭერას.

დახმარება ერთ ოჯახზე არაუმეტეს 1000 ლარისა.

ქვეპროგრამა: დახმარება გენდერული ბიუჯეტირების ფარგლებში. ბიუჯეტი 10000 ლარი.

12) ქვეპროგრამა: „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშუალო მერქნით დახმარება“ - ბიუჯეტი 90 000 ლარი.

13). ქვეპროგრამა: ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება 60 60+ ბიუჯეტი- 10 000 ლარი ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება (ინიცირებას უწევს ა.ა.ი.პ „სოციალური კეთილდღეობის ლიგა“) ძირითადი სამიზნე ჯგუფები პირდაპირი ქალები 60+, მამაკაცები 65+ (15 ოჯახზე).

14) ქვეპროგრამა : საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების დახმარება. ბიუჯეტი 15 000



ლარი (დელეგირებული )

**მიზანი და ამოცანები:** საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დამღვევად მუშაობა.

**სამიზნე ჯგუფი:** პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე.

**ქვეპროგრამის აღწერა:** დახმარება გაიცემა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით, თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურად, არასრულწლოვნის საჭიროებისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მათ შორის:

**ოჯახის გაძლიერების კუთხით:**

1. საკვები პროდუქტების კალათა და ჰიგიენური საშუალებები (150 ლარის ფარგლებში).
2. საბაზისო ავეჯის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, სამუშაო იარაღების, საოჯახო ტექნიკის, სამუშაო მასალის(ქსოვილი, ტყავი, საქსოვი და საკერავი ძაფები და სხვა), შინაური ცხოველების შეძენა.

**ბავშვის მხარდაჭერის კუთხით:**

1. შშმ ბავშვის მასაჟი (ფორმა ასის მიხედვით). ერთ ბენეფიციარზე დახმარება 350 ლარის ფარგლებში.
2. მედიკამენტების შეძენა ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე.

თანხის რაოდენობა ერთ ბავშვზე მაქსიმუმ 300 ლარის ოდენობით

3. განმავითარებელი, სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა. (თითოეულ ბავშვზე მაქსიმუმ 100 ლარი).
4. ბავშვი, რომელიც საჭიროებდა ოპერაციას, კვლევას ან/და მკურნალობას, რომელიც საქართველოში არ ტარდება(აღნიშნული საჭიროა ეწეროს ფორმა N 100-ში)- ჩატარებული ოპერაციის, კვლევის ან/და მკურნალობის შემდეგ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დახმარება ოჯახზე განისაზღვროს 1000 ლარის ოდენობით.

პროგრამის ბენეფიციარს თანხა დაერიცხოს საკუთარ ანგარიშზე განსაზღვრული ნივთის შესაძენად და შეძენის შემდეგ წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამაში წლის განმავლობაში ჩაერთვება თანადაფინანსებით ორგანიზაცია „იმერეთის განვითარების ცენტრი“. ნივთის შეძენა მოხდება მულტიდისციპლინური გუნდის ან/და აიპ იმერეთის განვითარების ცენტრის ზედამხედველობით.

აგრეთვე განყოფილების მიმართვის საფუძველზე ორგანიზაცია „იმერეთის განვითარების ცენტრი“ წლის განმავლობაში მოახდენს საჭირო ნივთების შეძენას ბენეფიციარებისათვის.

განყოფილება ბენეფიციარებისათვის მოიძევეს ახალ და მეორად ნივთებს(ტანსაცმელი, საბაზისო ავეჯი).

**ჩართვის კრიტერიუმები:**

1. სოციალურად დაუცველი ოჯახი;
2. მშობლის /მშობლების /მეურვის/მარჩენალის გარდაცვალება;
3. ოჯახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა(მშობელმა/მშობლებმა დაკარგეს სამსახური);
4. ბავშვის /ბავშვების/მშობლის/მშობლების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება;



5. ოჯახს მოეხსნა/შეუჩერდა სოციალური დახმარება და ოჯახი აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე;
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან;
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან;
8. ძალადობის მსხვერპლი მშობელი/არასრულწლოვანი;
9. მარტოხელა მშობელი.
10. რეინტეგრირებული არასრულწლოვნის ოჯახი;

**განცხადების შემოსვლის ფორმა:** ბენეფიციარის მიერ დაწერილი განცხადება ან/და სხვა გზით მოძიებული ინფორმაცია.

**რესურსი და ბიუჯეტი:** ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის თანამშრომლები, რომლებიც მოახდენენ ოჯახის საჭიროებების შეფასებას. 15 000 ლარი, მინიმუმ 15 ოჯახი.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ფარგლებში მოხდება მინიმუმ თხუთმეტი ოჯახის (ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახი) დახმარება პრობლემების ნაწილობრივ გადაწყვეტაში. ოჯახების სოციო-ეკონომიკური სირთულეების და მათ წინაშე არსებული საჭიროებების ნაწილობრივი დაძლევა-დაკმაყოფილება ოჯახის გაძლიერების კუთხით.

**რისკები და მართვა:** არასაკმარისი რესურსი. რესურსი მივმართოთ ოჯახების წინაშე არსებული პრობლემების ნაწილობრივ მაინც მოგვარებისკენ.

**ქვეპროგრამის ხანგრძლივობა:** ქვეპროგრამა ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.

**ოჯახის ჩართვა ქვეპროგრამაში:** ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროების ან/და სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად მოხდება საკითხის გატანა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერის და შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის კომისიაზე. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაისმება ბენეფიციარი პროგრამაში. გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესობა მიენიჭოს ბენეფიციარს რომელზეც გაწერილია ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა. ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს მიმდინარე დოკუმენტით, განსაზღვრული კრიტერიუმებიდან ერთს ან/და რამოდენიმეს. დახმარება განისაზღვრება ერთ ოჯახზე არაუმეტეს 1000 ლარისა.

**ქვეპროგრამის მიზანი:**

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელშეწყობა. ოჯახების გაძლიერება. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა.

**ქვეპროგრამის შედეგი:** ოჯახების გაძლიერების ხელშეწყობა მათი მოწყვლადობის აღმოფხვრის მიზნით.

პროგრამით ისარგებლებს 2500 – 3000 ბენეფიციარი

1.2.2 ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს მატერიალიზებული ფორმით, ქრონიკული დაავადებების



სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის მიღმა დარჩენილი, ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების დახმარებას.

**მიზანი:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა. 100-110 ბენეფიციარის ყოველთვე უფასო მედიკამენტით უზრუნველყოფა

### 1.2.3 თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის (ჰემო და პერიტონიალურ) პროგრამაში მყოფი ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება

**მიზანი:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა. 55 ბენეფიციარის ყოველთვე 200 ლარის ოდენობით დახმარება

### 1.2.4 „უფასო სადილი-“ უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 04)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს: მატერიალური ფორმით დახმარებას ( უფასო სადილი) პირის/ოჯახის მიმართ

**მიზანი:** სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ერთიან ბაზაში (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს) სადილით უზრუნველყოფა დღეში ერთჯერ 115 ბენეფიციარის, უფასო სასადილოში ყოველდღიურად მომსახურეობა (კვებით უზრუნველყოფა).

### 1.2 5 ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (ახალშობილები) (პროგრამული კოდი 06 02 05)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას იმ პირების/ ოჯახების მიმართ რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.

პირველ და მეორე ახალშობილზე გასაცემი თანხა 250 ლარი. ოჯახი (ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი) რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, გარდა დევნილისა.

მე-3, მე-4 და მეტი ახალშობილის ოჯახზე – 250 ლარი, მე-7 და მეტი ახალშობილის ოჯახზე 1000 ლარი.

ტყუპი ახალშობილის ოჯახზე გასაცემი თანხა თითოეული ახალშობილისათვის 250 ლარი.

დევნილის ოჯახზე გასაცემი თანხა- 250 ლარი.

### ქვეპროგრამა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა“

დახმარება განისაზღვროს 200 ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქისათვის, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განესაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სასამართლოს ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი მიერ.

### ქვეპროგრამა „ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში /თავშესაფარში/ მყოფი პირის /ოჯახის/ თავშესაფარის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. გაეწევა დახმარება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

**მიზანი:** ახალშობილის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ოჯახების გაძლიერება , დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ძალადობის მსხვერპლის დაცვა.ოჯახების თანადგომა. 250 ოჯახის ფინანსური დახმარება. ძალადობის მსხვერპლის საზოგადოებაში ინტეგრირება.



## 1.2.6 სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას სტიქიის (ხანძარი) შედეგად დაზარალებული პირის/ ოჯახის მიმართ, რომელთაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაღდათ განვითარებული სტიქიის გამო საცხოვრებელ სახლზე.

დახმარება გაიცემა თუ სტიქია განვითარდა მიმდინარე ან წინა წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში. სტიქიით გამოწვეული ზიანი და ხარისხი დადასტურებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის (ორგანო, სამსახური, კომისია, სპეციალური აგუფი) მიერ.

**მიზანი:** სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის მხარდაჭერა. 10-15 ოჯახის დახმარება მატერიალური ზარალის ნაწილობრივ აღმოსაფხვრელად

## 1.2.7 სარიტუალო-გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს ფულად დახმარების გაცემას სარიტუალო ხარჯების უზრუნველსაყოფად, თუ გარდაცვლილი პირი არის: სოცალური მომსახურების სააგენტოს ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (გარდაცვლელამდე 3 თვით ადრე მაინც) და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ არემატება 65000 -ს მაინც 200 ლარის ოდენობით, დევნილის გარდაცვალებისასა- 200 ლარი, უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი უნაღდო ანგარიშსწორებით არაუმეტეს 400 ლარი, ომის მონაწილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებისათვის თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა -250 ლარი

**მიზანი:** გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი, დევნილის სტატუსის მქონე , ომის მონაწილე, უპატრონო მიცვალებულთა პატივგება. 45 ოჯახზე ფინანსური დახმარება.

## 1.2.8 სადღესასწაულო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

**აღწერა:** |მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები (მეომრის მეუღლე, შვილი/მშობელი) 500 ლარი, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულზე 500 ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 1000 ლარის ოდენობით, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული მოქალაქეების დახმარება წელიწადში ერთჯერ 300 ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის ლიკვიდაციაში 20 მონაწილის დახმარება თითოეულზე 300 ლარის ოდენობით და სხვა კომისიის მხრიდან შერჩეული პირები და სოციალური ჯგუფები.

### პროგრამა ითვალისწინებს:

ფულადი ან/და მატერიალური ფორმით გაცემას პირის /ოჯახის ან/და სოციალური ჯგუფის მიმართ, ღირსშესანიშნავ, ტრადიციულ და ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით სოციალური თანადგომა /მხარდაჭერის/ მიზნით.

დახმარება გაიცემა როგორც ინდივიდუალურ პირზე ასევე სოციალურ ჯგუფზე და სხვა კომისიის მხრიდან შერჩეულ პირებზე და სოციალურ ჯგუფებზე.

- სოციალური ჯგუფი (უსახლკარო ბენეფიციართა ჯგუფი).
- სოციალური ჯგუფი (ჰუმანიტარული ასოციაცია კატარზისი.)
- ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, რომლებიც გაერთიანებულია სოციალურ ჯგუფებში-ცხოვრების მეგზური.
- შშმ სტატუსის მქონე ბავშვები 18 წლამდე, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სოციალურ ჯგუფში (შშმ პირთა დღის ცენტრი კავშირი „ორიონი“).



ბენეფიციარი განისაზღვრება/მომართვის ან კომისიის მხრიდან პირის/სოციალური ჯგუფის შერჩევის შესაბამისად, დახმარება გაიცემა (უნაღლო ანგარიშსწორებით).

ინდივიდუალურ პირზე გასაცემი ფულადი დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

სოციალურ ჯგუფებზე გასაცემი ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 3000 (სამიათასი) ლარს.

**მიზანი:** მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრის ოჯახების, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილის, უსახლკარო ბენეფიციარებისა და მათი ოჯახების თანადგომა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, 53 ოჯახისა და სოციალურ ჯგუფებზე ფინანსური მხარდაჭერა.

### 1.2.9 მარჩენალდაკარგულების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

**აღწერა:** ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახის (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი) - მარჩენალდაკარგულის ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით

**მიზანი:** მარჩენალდაკარგულების ოჯახების თანადგომა. პროგრამით შესაძლებელია ყოველწლიურად 70 ოჯახის დახმარება

შესაბამისი წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

### 1.2.10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლოების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)მ/შ:

**აღწერა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე მხედველობით უსინათლო ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება

**მიზანი:** უსინათლო ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება, თანადგომა, საზოგადოებასთან ინტეგრირება 210 მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარი და 81 მხედველობით მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის ყოველთვიური ფინანსური დახმარება.

### 1.2.11 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება. (პროგრამული კოდი 06 02 11)

**აღწერა:** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეებისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერ 100 ლარის ოდენობით

**მიზანი:** ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების თანადგომა. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 380 ოჯახის დახმარება

### 1.2.12 საცხოვრებელი უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 12)

